



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 09/06/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19/07/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სახელმწიფო რესურსების მართვა
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საჯარო მმართველობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	121
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო თავდაცვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „სახელმწიფო რესურსების მართვა“ არის ახალი პროგრამა.

პროგრამა ეხმიანება, სახელმწიფო უწყებების წინაშე მდგარ გამოწვევებს მართვის სტრატეგიული დონისათვის პროფესიონალების მომზადების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომელთაც ექნებათ ღრმა სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები სახელმწიფო რესურსების მართვის სფეროში, შეეძლება გაუთვალისწინებელ და ცვლად გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სფეროში არსებული გამოწვევების ანალიზსა და მათი გადაჭრის გზებს.

პროგრამა შექმნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებებზე დაყრდნობით. სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო სამხედრო და სამოქალაქო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. პროგრამის უმთავრესი ინოვაციურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი ჩამოყალიბების პროცესში, უსდ აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის ეიზენჰაუერის სახელობის სკოლასთან, რის შედეგადაც კურიკულუმში აისახა ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის ექსპერტთა რეკომენდაციები.

პროგრამით გაწერილია პროგრამაზე მიღების წინაპირობები. პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით.

პროგრამა 121 კრედიტია:

პროგრამის კურიკულუმით 67 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო არჩევით საგნებზე განაწილებული ჯამში 40 კრედიტიდან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ საგნები, რათა დააგროვონ 24 კრედიტი. პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 25 მაისის # 486574 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი უსდ-ში განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 9 ივნისს.

ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს რექტორის მოადგილეებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ა.შ. დათვალიერება განხორციელდა, როგორც წინასწარ მოწოდებული აუდიო-ვიზუალური მასალით, ასევე ონლაინ ფორმატში უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელების დროს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული შეხვედრები და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების შეფასება საკმარისი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის, რომ დეტალურად განეხილა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია პირველ, მე-3 და მე-5 სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისია მე-2 და მე-4 სტანდარტებთან.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის და/ან გასაუბრების ეტაპზე, წინასწარ განსაზღვრულ თემებს დაემატოს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც წინდაწინ საჯაროდ

გამოქვეყნდება უსდ-ს ვებ-გვერდზე და ხელისაწვდომი იქნება პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის.

- სწავლის შედეგის: „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ გადახედვა და ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად, რადგან კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო მე-7 დონის სწავლის შედეგად არ ითვალისწინებს "ჩამოთვლას".
- ძირითად სასწავლო კურსში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხების განხილვა.
- კურსში „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, ძირითადი ლიტერატურის გამოცემის წლების მითითება.
- კურსი „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ რუსულენოვანი წყაროების მიხედვით რიდერის შემუშავება ან მათი ჩანაცვლება ქართული ან ინგლისურენოვანი თარგმანით.
- კურსებში „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“ და „ინდუსტრიული ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის შედარებით ახალი გამოცემების გამოყენება.
- სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შეფასების სისტემასთან.
- გასწორდეს სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკის“ შეფასების სისტემა, რათა კურსი ფასდებოდეს 100 ქულით.
- სასწავლო კურსში „საჯარო ფინანსები“ დეტალური კრიტერიუმების მიხედვით შემუშავდეს შულედური და დასკვნითი გამოცდების რუბრიკები.
- გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასა და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (45%) და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, რათა 100 ქულიდან ნაშრომის ზღვარი შეადგენდეს 51 ქულას (51%).
- რეკომენდებულია, პროგრამაში საჯარო მმართველობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართვა, რათა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მხარდაჭერით.
- რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხებისა და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის კურსების განმახორციელებელი პერსონალი.
- რეკომენდირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღებოდეს პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.
- მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის რესურსების სერვისების დახვეწა მომხმარებელთა ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ ეტაპად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გასაუბრებასთან ერთად. რომელიც გამოავლენს კანდიდატის ცოდნას საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით.
 - მოწვეული პერსონალის მეტი ინტეგრირება პროგრამის შემუშავების პროცესში, მათი ეფექტური თანამშროლობის უზრუნველყოფა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან (შესაბამისი საგნების თემატური კლასტერების მიხედვით), სილაბუსების შექმნის დროს შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფა, შესაძლო გადაფარვების ან მნიშვნელოვანი საკითხების გამორჩენის თავიდან ასაცილებლად.
 - კურსი „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, მეორე სემესტრის სავალდებულო კურსებიდან გადატანილ იქნას მესამე სემესტრში, მის წინაპირობად განსაზღვრული „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსის შემდეგ.
 - კურსებში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება, „სტრატეგიული კომუნიკაცია“, „ინდუსტრიის ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის რეალისტური მოცულობის მითითება
 - სასურველია მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს სალექციო დატვირთვის გარდა არსებულ ყველა შესაძლო აქტივობას.
 - სასურველია მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, პერსონალის მონაწილეობის გასაზრდელად.
 - სასურველია პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტების ხელშეწყობი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის გათვალისწინება.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უსდ-ს მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს: „ქვეყნისა და სამინისტროსთვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების, აკადემიური უმაღლესი და სამხედრო განათლების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადებას, მაღალ აკადემიურ და სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებულ ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისად“.

პროგრამის უშუალო მიზნებია:

„ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის სფეროს სტრატეგიული დონისთვის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება, რომლებსაც გააჩნიათ:

სტრატეგიული მმართველობის პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა და პრაქტიკული უნარები ამ სფეროში;

ცოდნა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ეკონომიკური ნაწილის, საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორებისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა ეკონომიკის ამ სექტორებში, ასევე ხედვა მისი განვითარების შესაძლებლობების შესახებ;

დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებისა და ფუნქციონირების შესახებ ცოდნა და პრაქტიკული უნარები“. პროგრამის კურიკულუმი და ცალკეული საგნები თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (დამატებით გთხოვთ, იხ. სტანდარტი 2.3).

პროგრამა ეხმიანება სახელმწიფო უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის მიმართულებით თავდაცვის სამინისტროსა და შესაბამის სახელმწიფო უწყებებში კვალიფიციური კადრების არსებობის საჭიროებას, ისევე, როგორც თავდაცვის სფეროში საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის ა.შ.შ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის გამოცდილებას. საგულისხმოა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა, როგორც ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის ექსპერტთა გამოცდილება და საქართველოში პროფილური დასაქმების სფეროს წარმომადგენელთა რჩევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მიზნები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია;

○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ეროვნული თავდაცვის აკადემიის შვიდწლიანი სტრატეგია; ○ 3 წლიანი სამოქმედო გეგმა; ○ აკადემიის ვებგვერდი; ○ დამსაქმებელთან შეხვედრების ოქმები;
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს და მოიცავს ცოდნა გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების თავსებადობის უზრუნველსაყოფად შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან, უსდ-მ სწავლის შედეგების ფორმირება განახორციელა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, გარე შეფასების ექსპერტის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა მონაწილეობით. აღნიშნული ასევე ემსახურება თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის ბალანსის დაცვის მიზანს.

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის, საქართველოს თავდაცვის ძალებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინაშე მდგარ გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია გადაიხედოს სწავლის შედეგი - „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ და ფორმულირდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად რადგან კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო მე-7 დონის სწავლის შედეგად არ ითვალისწინებს "ჩამოთვლას".

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, რეალისტურად მიღწევადია და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, აღნიშნული დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის მიზნის შედარებით სასწავლო კურსის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

როგორც პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაცია ცხადყოფს სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება აშშ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის (Eisenhower School for National Security and Resources Strategy [ES], National Defence University), აშშ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის გაერთიანებული და სტრატეგიული ლოგისტიკის ცენტრისა (Centre for Joint and Strategic Logistics [CJSL]) და ნატო-ს თავდაცვის განათლების გაძლიერების პროგრამის (Defence Education Enhancement Programme [DEEP]) მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ კურიკულუმის რუკა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: მნიშვნელოვანია გადაიხედოს სწავლის შედეგი - „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ და ფორმულირდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად რადგან კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო მე-7 დონის სწავლის შედეგად არ ითვალისწინებს "ჩამოთვლას".
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	X			

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
--	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განსაზღვრულია როგორც უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სამხედრო პირთა განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მიხედვით. შესაბამისად, გათვალისწინებულია ბაკალვრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მოთხოვნა, სამხედრო ოფიცრის წოდება, სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის კვოტების რაოდენობა შესაბამისი უწყებების მიხედვით, დასაქმების სფერო და მუშაობის გამოცდილება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში და სხვ. კვოტების განაწილება რეგულირდება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. სულ ჩასარიცხი პირების რაოდენობა შეადგენს 16-ს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, თავდაცვის აკადემიაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საჯაროდ განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე პოტენციური სტუდენტების გზამკვლევის სახით და ხელმისაწვდომი იქნება პროგრამაზე ჩაბარების ნებისმიერი მსურველისათვის.

ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის გარდა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირები აბარებენ სამაგისტრო პროგრამის მისაღებ გამოცდას, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო ოფიცრები დამატებით აბარებენ სამეთაურო-საშტაბო პროგრამის მისაღებ გამოცდას; ასევე განსაზღვრულია ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 ან ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან სამხედრო საკარიერო კურსის დასრულების დამადასტურებელი საბუთი; ჩარიცხვის ბოლო ეტაპს წარმოადგენს გასაუბრება კომისიის წინაშე სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო ოფიცრების შერჩევა მოხდება თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის შერჩევის საბჭოში.

ექსპერტთა აზრით, სამაგისტრო პროგრამის შიდა მისაღები გამოცდა მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რა საკითხები მოითხოვება ჩარიცხვის მსურველი პირისაგან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით, მისაღები გამოცდის კითხვები მოიცავს საქართველოს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს და სამხედრო ისტორიას. სამაგისტრო პროგრამის გზამკვლევი დეტალურად აღწერს გამოცდის ფორმატს, ტესტის კითხვების რაოდენობას, შეფასების ქულას და ტიპს, ასევე, მინიმალურ გამსვლელ ქულას. თუმცა, პროგრამის აღწერის დოკუმენტში ეს ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. მხოლოდ მითითებულია, რომ სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს ჩაბარებული აკადემიის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა/გამოცდები. ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაციით, როგორც თვითშეფასების ჯგუფთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან, ტესტირება შესაძლოა დაემატოს, ან გასაუბრების ეტაპზე მოხდეს კანდიდატთა ცოდნის შეფასება. ტესტის არჩატარების შემთხვევაში კანდიდატის ცოდნა გასაუბრებაზე შემოწმდება ზემოთ აღნიშნულ სფეროებში. აქედან გამომდინარე, რამდენადაც პროგრამა საჯარო მმართველობის კვალიფიკაციას ანიჭებს, ექსპერტებს სასურველად მიაჩნიათ, კანდიდატებმა გასაუბრებასთან ერთად გაიარონ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ეტაპი. ნებისმიერი შემთხვევაში, მიზანშეწონილია, გამოცდის და/ან გასაუბრების თემატიკას დაემატოს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სფეროს საკითხები. გარდა ამისა, საჯარო მმართველობის კვალიფიკაციის შესაბამისი საკითხები უნდა შევიდეს პროგრამის შესახებ ვებ-გვერდზე წინასწარ განთავსებული ინფორმაციის ჩამონათვალშიც, რისი მზაობაც ინტერვიუების დროს დაადასტურეს უსდ-ს წარმომადგენლებმა.

აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ სამოქალაქო და სპეციალური წოდების პირები, რომლებიც ასევე მოიაზრებიან პროგრამის იუნკერებად, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, იმუშავენ პოლიტიკის დოკუმენტებისა და სტრატეგიების შექმნაზე მათი დასაქმების შესაბამის სფეროებში, რაც, ექსპერტთა აზრით, აუცილებლად მოიხოვს როგორც საჯარო მმართველობის, ასევე საჯარო პოლიტიკის საბაზისო საკითხების ცოდნას წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის გზამკვლევი 2021-2023.
- პროგრამა - სახელმწიფო რესურსების მართვა 2021
- ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

- პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის და/ან გასაუბრების ეტაპზე, წინასწარ განსაზღვრულ თემებს დაემატოს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომლებიც წინდაწინ საჯაროდ გამოქვეყნდება უსდ-ს ვებ-გვერდზე და ხელისაწვდომი იქნება პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ ეტაპად განისაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გასაუბრებასთან ერთად. რომელიც გამოავლენს კანდიდატის ცოდნას

საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა მომზადებულია თავდაცვის აკადემიაში შემუშავებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავებისა, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამის კრედიტების რაოდენობა და განაწილება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. კერძოდ, აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად განსაზღვრული ECTS-ს რაოდენობა შეადგენს 121. აქედან, 97 ECTS ეთმობა სავალდებულო კურსებს, 24 ECTS - არჩევით კურსებს, 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომს, როგორც პროგრამის კვლევით კომპონენტს. თავდაცვის აკადემია ასევე უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას

და ხელმისაწვდომობას.

სასწავლო კურსები აგებულია სამაგისტრო პროგრამის სირთულის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. წინაპირობა განსაზღვრული აქვს ორ კურსს: დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება (წინაპირობები: სტრატეგიული ლიდერობა, სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა) და საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზი (წინაპირობები: ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა და ინდუსტრიის ეკონომიკა). გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია წინა სემესტრებში გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები. აღსანიშნავია, რომ კურსი „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“ (PPBE), ისევე, როგორც „სტრატეგიული ლიდერობა“ პროგრამის აღწერით ერთსა და იმავე (მეორე) სემესტრში ისწავლება. მიზანშეწონილია, PPBE კურსი შეთავაზებული იყოს სტრატეგიული ლიდერობის შემდეგ სემესტრში.

პროგრამა შემუშავდა უსდ-ს შიდა პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის ჩამოყალიბებისათვის შეიქმნა რექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფი, რომელიც პერიოდული შეხვედრების დროს მუშაობდა კურსის განვითარებაზე. აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად წარიმართა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობა, წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკისა და მიმართულებების მიხედვით გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად.

სამუშაო პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ მოწვეული სპეციალისტები და აკადემიური პერსონალი. ხარისხის სამსახურის მიერ აკადემიურ პერსონალთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, სადაც მათ გააცნეს აკრედიტაციის მოთხოვნები, და შესაბამისად დამუშავდა თითოეული სილაბუსი. კადრების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი.

ანალოგიური პროგრამა, რომელიც აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის დუაიტ ეიზენჰაუერის სახელობის სკოლაში ფუნქციონირებს, გამოყენებული იქნა დადარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეიზენჰაუერის სკოლის პროგრამა ანიჭებს მეცნიერებათა მაგისტრის კვალიფიკაციას ეროვნული რესურსების სტრატეგიის დარგში (Master of Sciences in National Resource Strategy), რაც საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს არ შეესაბამება. სწორედ ამ მიზეზით, უსდ-ს მიერ პროგრამაში შეტანილია ცვლილებები, რომლებიც პროგრამას საჯარო მმართველობის კვალიფიკაციაზე გაიყვანს. ასევე, მოხდა შესწავლა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამების, რომლებიც ქართულ უსდ-ებში ტარდება (ოსუ, კავკასია, შავი ზღვა, ჯიპა და ტექნიკური უნივერსიტეტი).

სამუშაო პროცესში ინტენსიური კომუნიკაცია განხორციელდა პოტენციურ დამსაქმებლებთან, ყველა სახელმწიფო სტრუქტურასთან, რომელზეც პროგრამის მიღების წინაპირობების შესაბამისად, გათვალისწინებულია კვოტები. ჩატარდა პროგრამის პრეზენტაცია ოფიციალურ შეხვედრაზე, სადაც პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირზე დაყრდნობით, პროგრამაში შევიდა საბოლოო ცვლილებები. აღსანიშნავია ასევე, რომ საწყის ეტაპზე შესაბამის უწყებებთან არაფორმალური ხასიათის შეხვედრებიც იმართებოდა, რათა პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული ყოფილიყო მათი მოთხოვნები და საჭიროებები პროგრამის კურიკულუმის, კურსდამთავრებულისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის განსაზღვრის მიზნით.

სამომავლოდ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა გათვალისწინებულია პრაქტიკული

კომპონენტის ფარგლებში; იგულისხმება, რომ იუნკერები პრაქტიკას გაივლიან კონკრეტულ უწყებებში, სადაც მოიაზრება მათი დასაქმება მომავალში.

თავად სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტების მიერ სტრატეგიების დამუშავება არა მხოლოდ თავდაცვის მიმართულებით, არამედ ასევე იმ უწყებების საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელთაც წარმოადგენენ პოტენციური დამსაქმებლები. გარდა ამისა, დაგეგმილია თითოეული დამსაქმებელი უწყებიდან რეგულარული უკუკავშირის მიღება კურსდამთავრებულთა სამუშაო ეფექტურობის და კარიერული წინსვლის მონიტორინგის მიზნით. ანალოგიური პროცესები ხორციელდება უსდ-ს სხვა სამაგისტრო პროგრამებზეც, გამოკითხვებისა და რეგულარული შეხვედრების გზით.

ექსპერტთა აზრით, გარე დაინტერესებულ მხარეთა შორის მნიშვნელოვანია ასევე საჯარო სამსახურის ბიუროსა და მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს მოაზრებაც, რამდენადაც სწორედ ეს უწყებებია პასუხისმგებელი საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის განვითარებაზე. ამ საკითხზე იურიდიული სამსახურის უფროსმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტრატეგიული დაგეგმვა უშუალოდ ეპასუხება მთავრობის #629 დადგენილებით შექმნილი „საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასების გზამკვლევის“ მოთხოვნებს; მეტიც, პროგრამის შემუშავების დროს შედგა კომუნიკაცია მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული დაგეგმარების სამმართველოსთან და, შესაბამისად, გათვალისწინებულია სამმართველოს წარმომადგენელთა ჩართვა პროგრამის განხორციელებაში მოწვეული სპიკერის ფორმატში, საჯარო პოლიტიკის რამდენიმე დღიანი კურსის ჩატარების მიზნით, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის.

რაც შეეხება საჯარო მმართველობის ბიუროსთან თანამშრომლობას, რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისი სამუშაო გამოცდილება, საჯარო მმართველობის ბიუროსა და ერთ-ერთი უსდ-ს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლაში, გაზიარებულ იქნა პროგრამის შექმნის დროს სამუშაო ჯგუფის მიერ.

ექსპერტების მიერ აღინიშნა ერთი გარემოება, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში: ის ლექტორები, რომლებიც ამ პროგრამის ფარგლებში პირველად ითანამშრომლებენ უსდ-სთან, ნაკლებად იცნობენ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს და, შესაბამისად, ნაკლებად იყვნენ ჩართულები წინასწარ სამუშაო პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს ეფექტური სწავლების ცენტრი რეგულარულად ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრას არსებულ და მომავალ ლექტორებთან, როგორც ჩანს, სუსტია მათი კავშირიც უსდ-ს აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან. ექსპერტთა აზრით, სასურველია მეტი ყურადღების დათმობა ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტეგრირებისათვის. შესაძლებელია პროგრამის სასწავლო კურსების დაჯგუფება თემატურ კლასტერებად, რომლებსაც კონკრეტული აფილირებული აკადემიური პირი უხელმძღვანელებს. ეს საშუალებას მისცემს ცალკეული კურსების ლექტორებს, შეიმუშავონ სილაბუსები კონკრეტულად პროგრამის საჭიროებების მიხედვით, რომლებიც ურთიერთშემავსებელი იქნება და გამორიცხავს შესაძლო თემატურ გადაფარვებს.

ექსპერტთა აზრით, ზემოთ აღნიშნული თემატური კლასტერების შექმნა აფილირებული პროფესორის ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ და სილაბუსების მეტი სინქრონიზაცია კარგი გზა იქნება, უფრო ეფექტურად იყოს მოცული ის საკითხები, რაც პროგრამას მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გაიყვანს ახალი კურსების დამატებისა და პროგრამის გადატვირთვის გარეშე.

ზოგადად, სწავლის შედეგები უმეტესად მიესადაგება სამაგისტრო პროგრამის სირთულეს. ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება „ცოდნისა და გაცნობიერების“ ერთ-ერთი შედეგის ფორმულირებასთან დაკავშირებით: „პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ჩამოთვლის ეკონომიკის მოქმედების პრინციპებსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმებს“ - რაც სამაგისტრო დონის სირთულეს სრულად შეესაბამება. ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, აღნიშნული სწავლის შედეგი გადაიხედოს და ფორმულირდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად.

2.2. ქვესტანდარტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, დღეს წარმოდგენილი სახით, უზრუნველყოფს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას და ასევე მაქსიმალურად უზრუნველყოფს მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გასვლას. ექსპერტების მოსაზრებით, პრობლემა, რომელიც კვალიფიკაციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით იქმნება, შესაძლოა გადაიჭრას მიღების ეტაპზე საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკითხების დამატებით (იხ. ქვესტანდარტი 2.1.) და კონკრეტული საგნების შესაბამისი თემატიკით გამდიდრებით, რაც დეტალურად არის განხილული ქვესტანდარტში 2.3. და ასახულია რეკომენდაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავებისა, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი
- პროგრამა - სახელმწიფო რესურსების მართვა 2021
- საქართველოს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობასთან შეხვედრის ოქმი
- სახელმწიფო რესურსების მართვის პროგრამის შედარება აშშ-ის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის დუაიტ ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის პროგრამასთან
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოწვეული პერსონალის მეტი ინტეგრირება პროგრამის შემუშავების პროცესში, მათი ეფექტური თანამშროლობის უზრუნველყოფა აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან (შესაბამისი საგნების თემატური კლასტერების მიხედვით), სილაბუსების შექმნის დროს შეთანხმებული მუშაობის უზრუნველყოფა, შესაძლო გადაფარვების ან მნიშვნელოვანი საკითხების გამორჩენის თავიდან ასაცილებლად.
- კურსი „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, მეორე სემესტრის სავალდებულო კურსებიდან გადატანილ იქნას მესამე სემესტრში, მის წინაპირობად განსაზღვრული „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსის შემდეგ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სასწავლო კურსების შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: თავდაპირველად, დაწესებულებამ მომართა ცენტრს, რომ „სახელმწიფო რესურსების მართვის“ სწავლის სფერო შესაბამისი პროცედურების განხორციელების შედეგად დამატებული ყოფილიყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორში 0413 მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში სამაგისტრო დონეზე. თუმცა ცენტრში არსებული ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი საბჭომ ურჩია დაწესებულებას, ამ შინაარსით და ამ კვალიფიკაციით პროგრამა ვერ იქნებოდა მენეჯმენტის ქვეშ სამაგისტრო დონეზე და მისცა მითითება, რომ „საჯარო მმართველობის“ სწავლის სფეროში განეხილათ პროგრამა. შესაბამისად, დაწესებულების განმარტებით, თავდაპირველ პროგრამაში შევიდა ცვლილებები - ძირითადი კურსების ჩამონათვალი გაძლიერდა საჯარო მმართველობისათვის შესაბამისი საგნებით, მაგალითად, სტრატეგიულ კომუნიკაციას მიენიჭა სავალდებულო სტატუსი, ხოლო რეგიონული უსაფრთხოების კურსს - არჩევითი. ასევე, გადამუშავდა ზოგიერთი საგნის სილაბუსი. მაგალითად, სავალდებულო ძირითადი კურსი „ეროვნული უსაფრთხოება“ გაძლიერდა საჯარო მმართველობის საკითხებით და დაერქვა „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“. წარმოდგენილი სახით, კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პარლამენტი, მთავრობა, საკონსტიტუციო სასამართლო, ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა არ განიხილავს კანონს საჯარო

სამსახურის შესახებ, რაც ექსპერტების აზრით, აუცილებელია არსებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით. მით უმეტეს, რომ პროგრამაზე მოიაზრება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გარდა სხვა უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა და სხვა სამოქალაქო პირების მიღებაც. ექსპერტთა აზრით, ამავე კურსში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ზოგადად საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხებსაც, რაც უშუალოდ შეიძლება დაუკავშირდეს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის სწავლებას.

საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს ასევე კურსი „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“, რომელიც მოიცავს საჯარო სექტორში აუდიტის, ზოგადად ანგარიშვალდებულების მექანიზმების, შიდა კონტროლის, ეფექტიანობის მართვისა და გაზომვის, პროგრამული ბიუჯეტირების და სხვა საკითხებს. აღსანიშნავია ასევე, რომ საჯარო მმართველობის მიმართულების კურსებს უძღვებიან ლექტორები, რომელთაც მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ საჯარო სექტორში.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რამდენადაც სასწავლო კურსის ძირითადი საგნები მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს საჯარო მმართველობის და პოლიტიკის თემებს; ასევე, საჯარო მმართველობა კლასიფიკატორში განსაზღვრულია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ქვეშ. წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმი არ ითვალისწინებს ცალკე მენეჯმენტის კურსების სწავლებას, გარდა სტრატეგიული ლიდერობისა. ისეთი კურსები, როგორებიცაა საჯარო ორგანიზაციების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, კურიკულუმში წარმოდგენილი არ არის. თუმცა, შესაბამისი თემები უმეტესწილად დაფარულია სხვა კურსებში, როგორებიცაა არჩევითი კურსები „მომარაგებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“, „სამშვიდობო მისიების დაგეგმარება - პროექტის მენეჯმენტი და ამოცანები“.

როგორც საჯარო მმართველობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი კომპონენტს, პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკური მიმართულების კურსებსაც. თუმცა, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებით, ტრედიციული მიკრო და მაკრო-ეკონომიკის შესწავლის ნაცვლად, კურსების შინაარსი მორგებულია პროგრამის საჭიროებებსა და მიზნებზე და შესაბამისად გადის სწავლების შედეგებზეც, როგორებიცაა ეკონომიკის მოქმედების პრინციპებისა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე მათი ზეგავლენის მექანიზმების ცოდნა; ეკონომიკის სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული კვალიფიციური და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.

მაგალითად, კურსი „ინდუსტრიის ეკონომიკა“ ფარავს მიკროეკონომიკის თემებს, ხოლო კურსი „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა“ - მაკროეკონომიკის სფეროს. ექსპერტთა მოსაზრებით, ამ გზით პროგრამა იძენს უნიკალურ და განსხვავებულ სახეს, და იმავდროულად, უზურუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, შეთავაზებულია ეკონომიკის სექტორების ანალიზის კურსი, რომელიც გარდა თეორიული სწავლებისა, გულისხმობს ასევე სტუდენტების მიერ სექტორული ეკონომიკების პრაქტიკულად გაცნობას.

სწავლის შედეგებში ჩაოყალიბებული ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა „დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა და შეიმუშავოს შესაბამისი რეკომენდაციები, დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია და მოახდინოს კვლევის შედეგების დემონსტრირება დაინტერესებულ მხარეებთან“ ემსახურება აკადემიური წერის, კვლევის მეთოდებისა კურსები, ასევე არჩევითი კურსები „დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი“ და

„სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი“. ანიშნული შედეგების შეჯამებული შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს პროგრამის კვლევით კომპონენტს.

სწავლის შედეგების მიხედვით კურსდამთავრებული იძენს შესაბამის ცოდნას და უნარებს, განახორციელოს ანალიზი ფა შეფასება, ჩამოაყალიბოს კონცეფციები, პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და ახალი მიდგომები, შეაფასოს კომპლექსური პრობლემები, განსაზღვროს პოლიტიკის მიზნები და სხვა.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შესაბამის სილაბუსში და ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებს. მათი მიღწევა უზრუნველყოფილია სწავლების მეთოდებით, როგორებიცაა ლექცია და პრაქტიკული მუშაობა. სწავლება-სწავლის პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობების გამოყენება, როგორიცაა გუნდური/ჯგუფური მუშაობა, სემინარი, ზეპირი გამოკითხვის მეთოდი, დისკუსიები/დებატები, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის შესწავლა, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, აუდიო-ვიზუალური მეთოდი, ტექსტზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვ.და ა.შ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში და შესაბამისად ხდება სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება კონკრეტული კურსების ფარგლებში. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ისევე, როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა განსაზღვრულია კურსის სირთულის, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ძირითადი კურსისათვის სავალდებულო წყაროების რაოდენობა ძალიან დიდია (32 წყარო სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსისათვის, 17 წყარო სტრატეგიული კომუნიკაციების კურსისათვის, საიდანაც ერთ-ერთი ლექტორის მიერ შედგენილ რიდერს წარმოადგენს, ხოლო უმეტესი წყაროები 2010 წლამდეა გამოცემული, 26 წყარო კურსში „ინდუსტრიის ეკონომიკა“, ყველა ინგლისურენოვანი, გამოცემის წლები ძირითადად 2010-მდე, 17 წყარო კურსში „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, უმეტესობას არ აქვს მითითებული გამოცემის წელი. გარდა ამისა, „სისტემის ეფექტიანობის შეფასებისა და აუდიტის“ კურსის სილაბუსში ლიტერატურის ჩამონათვალს არ აქვს მითითებული გამოცემის წელი და ჟურნალის დასახელება - სტატიებს შემთხვევაში.

აღსანიშნავია, ასევე, რომ კურსში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ მითითებულია ორი რუსულენოვანი წყარო. პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელიც ამ კურსს კითხულობს, ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ორივე წყარო წარმოადგენს მნიშვნელოვან ქრესტომათიულ მასალას. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, რამდენადაც რუსულის ცოდნა არ არის სავალდებულო ოთხოვნა იუნკერებისათვის, აღნიშნული წყაროების მიხედვით მიზანშეწონილია რიდერის შემუშავება ან მათი ჩანაცვლება ქართული ან ინგლისურენოვანი თარგმანით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა - სახელმწიფო რესურსების მართვა 2021
- ძირითადი კურსების სილაბუსები: „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“, „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა“, „სტრატეგიული ლიდერობა“, „ინდუსტრიის ეკონომიკა“, „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება

და აღსრულება“, „სტრატეგიული სწავლება - „სახელმწიფო მართვა მშვიდობიანობის, კრიზისების და ომიანობის დროს“, „საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზი“ • არჩევითი კურსების სილაბუსები: „მომარაგებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“, „სამშვიდობო მისიების დაგეგმარება - პროექტის მენეჯმენტი და ამოცანები“
რეკომენდაციები: • ძირითად სასწავლო კურსში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხების განხილვა. • კურსში „დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება“, ძირითადი ლიტერატურის გამოცემის წლების მითითება. • კურსი „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“ რუსულენოვანი წყაროების მიხედვით რიდერის შემუშავება ან მათი ჩანაცვლება ქართული ან ინგლისურენოვანი თარგმანით. • კურსებში „სისტემის ეფექტიანობის შეფასება და აუდიტი“ და „ინდუსტრიული ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის შედარებით ახალი გამოცემების გამოყენება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კურსებში „სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება“, „სტრატეგიული კომუნიკაცია“, „ინდუსტრიის ეკონომიკა“ ძირითადი ლიტერატურის რეალისტური მოცულობის მითითება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია იუნკერთა ჩართვა ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა მაგალითად, სამეთაურო საშტაბო სწავლებები, როგორც ვირტუალურ ისე რეალურ გარემოში. აღნიშნული კომპონენტი შესაბამისობაშია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამეთაურო სწავლების გეგმასთან („დიდგორი“). ასევე ხორციელდება სტრატეგიული სწავლება „სახელმწიფო მართვა მშვიდობიანობის, კრიზისების და ომთანობის დროს“.

პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს თავდაცვის ძალები. შესაბამისად ხელმძღვანელობასთან შეხვედრის ოქმით დასტურდება აღნიშნული უწყების მზაობა, არა მხოლოდ კურსდამთავრებულთა დასაქმების, არამედ იუნკერთა პრაქტიკაზე მიღები თაობაზე. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუებში აღინიშნა, ასეთივე მზაობას გამოთქვამს ყველა უწყება, რომელსაც შესაბამისი კვოტით აქვს განსაზღვრული იუნკერთა რაოდენობა პროგრამაზე.

პროგრამის კვლევით კომპონენტს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 30 ECTS-ს მოიცავს. კვლევით უნარების განვითარებისათვის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილში გათვალისწინებულია აკადემიური წერისა და კვლევის მთოდების კურსები; გარდა ამისა, დარგის სპეციფიკით განსახორციელებული კვლევისათვის - კურსები „დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი“ და „სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი“ არჩევითი სტატუსით.

ასევე, პროგრამის მონაწილეთათვის კვლევით უნარების გამომუშავების მიზნით დაგეგმილია იუნკერების მონაწილეობა თავდაცვის აკადემიაში მიმდინარე კონფერენციებში. მიმდინარე წელს აკადემიაში დაგეგმილია 21 კონფერენცია, მათ შორის 3 საერთაშორისო, 2-სამეთაურო-საშტაბო კურსის მსმენელებისთვის, 4 სტუდენტური (2 ბაკალავრიატის იუნკერებისთვის, 2 მაგისტრატურის იუნკერებისთვის), 8 - სამეცნიერო კონფერენცია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პერსონალისთვის, 2 - ფსიქოლოგიური სამსახურის კონფერენცია, 2 - სერჟანტთა კონფერენცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა „სახელმწიფო რესურსების მართვა - 2021“
- სამაგისტრო ნაშრომი, სილაბუსი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია აშშ-სა და დასავლეთის ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, როგორებიცაა US National Defence University, Defence Resource Management Institute, Naval Postgraduate School, Monterey, California. პროგრამაში ინტეგრირებულია ამ დაწესებულებების უახლესი გამოცდილება როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე სწავლების თანამედროვე მიდგომების მხრივ. თითოეული კურსის სწავლის მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდები ითვალისწინებს ინტერაქტიულ პროცესს, პრაქტიკულ მუშაობას და თეორიულ სწავლებას. სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში. პროგრამა ქართულენოვანია, ინგლისურენოვანი კომპონენტებით (კერძოდ, კურსი

„სტრატეგიული ლიდერობა“ იკითხება ინგლისურ ენაზე). უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით, იგეგმება ინგლისურენოვანი კურსების დამატება და ასევე NATO-ს აკრედიტაციის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა „სახელმწიფო რესურსების მართვა - 2021“
- სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და გამოცდების ჩატარების წესის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, ესე, პრეზენტაცია და ა.შ) გამოკითხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ამასთან, **რეკომენდებულია** სასწავლო-კურსის „აკადემიური წერის“ სილაბუსში გასწორდეს ხარვეზი - დასკვნითი გამოცდა ფასდება 30 ქულით, თუმცა შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულათა ჯამი უდრის 20 ქულას. ასევე, სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკის“ შეფასების სისტემის მიხედვით (შუალედური გამოცდა - 30 ქულა; პრეზენტაცია -15 ქულა; სემინარი - 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა) მიხედვით ქულათა ჯამი შეადგენს 115 ქულას, რაც მიზანშეწონილია, რომ გასწორდეს. აგრეთვე, რეკომენდებულია, რომ „საჯარო ფინანსებში“ შემუშავდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების რუბრიკები დეტალური კრიტერიუმების მიხედვით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასა და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (45%) და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, ინტერვიუს პროცესში აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა მსგავსი

მხარდაჭერა, ასევე აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პერიოდულად გეგმავენ სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგებს.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ფასდება ერთჯერადად ნაშრომის დასრულების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება რეცენზენტის, ხელმძღვანელისა და კომისიური წესით ჯამში 100 ქულით, საკვალიფიკაციო ნაშრომი ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა: ვერბალური კომუნიკაცია, წერითი კომუნიკაცია, ანალიზი და დასკვნები, სამეცნიერო ღირებულება, დაცვის პროცესში კითხვებზე პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება და ტერმინოლოგიის ფლობა. აღსანიშნავია, რომ პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით უსდ-მ დაინერგა პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin).

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და

დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის არსებობას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქცია;
- სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შეფასების სისტემასთან.
- გასწორდეს სასწავლო კურსის „ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკის“ შეფასების სისტემა, რათა კურსი ფასდებოდეს 100 ქულით.
- სასწავლო კურსს „საჯარო ფინანსებში“ დეტალური კრიტერიუმების მიხედვით შემუშავდეს შუალედური და დასკვნითი გამოცდების რუბრიკები.
- გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასა და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (45%) და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების

და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან, რათა 100 ქულიდან ნაშრომის ზღვარი შეადგენდეს 51 ქულას (51%).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რის შესახებ ინფორმაციაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მოქმედებს იუნკერთა სერვისები, რომლის ფარგლებშიც ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე სამხედრო ცხოვრებისა და სწავლების მიმართულებით. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით, უნივერსიტეტის მხრიდან კი მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ანალოგიურად ექნებათ მხარდაჭერა, რათა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებსა და მობილობაში.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის

სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. აგრეთვე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში. მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა; • პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიის აკადემიური პერსონალი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი, ასევე ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით. გარდა ამისა, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, მართალია აღნიშნულის შესაძლებლობა არ ფიქსირდება უსდ-ის მაგისტრატურის დებულებაში, თუმცა დისტანციური ვიზიტის დროს თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მიმდინარეობდა სხვა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და აღნიშნული საკითხი სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის განხრციელებამდე უსდ-ის მარეგულირებელ წესშიც აისახება.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენისა და დაცვის ინსტრუქციის მიხედვით, მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს თემას და თემის შესაბამისად ხელმძღვანელს. ამასთან, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია კონსულტაციები გაუწიოს იუნკერს თემის შერჩევაში, მისცეს რეკომენდაციები გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და რეკომენდაციები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში მისცეს რეკომენდაციები მისი კორექტირებისთვის და შეაფასოს იუნკერის მიერ გაწეული მუშაობა შესაბამის სილაბუსში მოცემული წესით.

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქცია;

• სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის დებულება; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამაში საჯარო მმართველობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართვა, რათა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მხარდაჭერით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება 7 აფილირებული აკადემიური პერსონალისა (2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი) და 10 მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა დასაქმება აკადემიაში მოხდა მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია - სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და კომპეტენციით. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა რეკომენდაცია საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხების დამატებასა და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის შესაბამისი საკითხების გაზრდასთან დაკავშირებით, რეკომენდირებულია პროგრამის აღნიშნული სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალით გამდიდრება.

აკადემიას გააჩნია პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო/სამეცნიერო მუშაობას და სხვა დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე, ასევე ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომ(ე)ბის ხელმძღვანელობის დატვირთვას. პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი ხორციელდება

აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური სემესტრული დატვირთვის სქემისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული სალექციო/სასემინარო დატვირთვის კრებსითი ცხრილის შესაბამისად. ვინაიდან, მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა ფოკუსირებულია მხოლოდ სალექციო საკონტაქტო საათებზე, სასურველია დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს მოწვეული პერსონალის სხვა შესაძლო აქტივობას, მაგ. მაგისტრანტთა (თანა)ხელმძღვანელობას და სხვ. ამასთან, აღნიშნული დატვირთვის სქემის ნიმუშები არ ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია მისი მონაწილეობა პროგრამის შეფასება-განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, სასწავლო პროცესის ჯეროვან განხორციელებაში, პერსონალის განვითარების პროცესებში.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- სამუშაო აღწერილობები
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დაემატოს საჯარო მმართველობის კანონმდებლობის მარეგულირებელი საკითხებისა და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის კურსების განმახორციელებელი პერსონალი.
- რეკომენდირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღებოდეს პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ითვალისწინებდეს სალექციო დატვირთვის გარდა არსებულ ყველა შესაძლო აქტივობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ხორციელდება პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობების შეფასების მიმართულებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება თვითშეფასების კითხვარის მეშვეობით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, დამატებითი სასწავლო საქმიანობის, სერვისების და სხვა სახის საქმიანობის შესახებ.

გარდა ამისა, ინსტიტუცია აქტიურად იყენებს კმაყოფილების კვლევის, ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის მექანიზმებს. კოლეგიალური შეფასების კომისიის ანგარიში რეაგირებისთვის წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. შეფასებების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, აკადემიაში მოქმედებს წახალისებისა და მოტივაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს წახალისებისა და ფასიანი საჩუქრების სხვადასხვა კატეგორიებს.

მიმდინარე წლის მარტში, ინსტიტუციამ განახორციელა კვლევა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი საჭიროებების გამოვლენის მიზნით, რომლის შედეგების შესაბამისად დაიგეგმება ღონისძიებები საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება/დანერგვის მიმართულებით. ტრენინგებისა და საკვალიფიკაციო კურსების ორგანიზება დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ინტერვიუს შედეგებით.

აკადემიაში ფუნქციონირებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას. ამ მიზნით დანერგილია დაფინანსების სისტემა, აქტივობების დაფინანსების მიზანშეწონილობა დგინდება აკადემიური საბჭოს მიერ, როგორც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის გასავითარებლად. აღსანიშნავია პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართულობის შესაძლებლობა ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამისა და სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორობის დახმარებით, თუმცა სასურველია მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, პერსონალის მონაწილეობის გასაზრდელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი
- აფილირების წესი
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, პერსონალის მონაწილეობის გასაზრდელად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აკადემიის თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი და შესაბამისი საბიბლიოთეკო რესურსები. მატერიალური რესურსების შეფასება ექსპერტთა მიერ განხორციელდა ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით, ვიდეო და ფოტომასშალის ვირტუალური ტურისა და ინტერვიუების პროცესის მეშვეობით.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა შედგება სხვადასხვა პროფილის და მრავალფეროვანი წიგნადი ფონდისაგან, აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე და შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ქსელით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა. დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "Evergreen", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. ბიბლიოთეკა აორგანიზებს საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით, თუმცა მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის რესურსების სერვისების მეტად დახვეწა მომხმარებელთა ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

გარდა თანამედროვე ტექნიკისა და ინფრასტრუქტურისა, აკადემიაში ფუნქციონირებს თანამედროვე კომპიუტერული საჭიროებებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი და ელექტრონული სასწავლო პლატფორმა ILIAS, რომელიც Moodle-ის პლატფორმასთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომობას. პერსონალი და სტუდენტები ფლობენ შესაბამის ცოდნასა და ინფორმაციას და უზრუნველყოფილია რესურსებზე წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა

○ აკადემიის ვებ-გვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის რესურსების სერვისების დახვეწა მომხმარებელთა ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია აკადემიის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების – ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ხელფასების ხარჯვით ნაწილს, პერსონალის განვითარებისა და კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს და სხვა საქონლისა და მომსახურების ხარჯებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ძირითადი ბიუჯეტი განიკარგება შრომის ანაზღაურების დანახარჯებზე, ცენტრალური ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები.

პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით, სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან და სარგებლობენ სხვადასხვა ფინანსური დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ფინანსური დახმარების გამოყოფა შესაძლებელია სამინისტროს ბიუჯეტიდანაც, ამრიგად, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მობილიზება პროგრამისთვის ეკონომიკურად მიღწევადია. ამასთან სასურველია პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტების ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტების ხელშემწყობი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის გათვალისწინება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. უსდ-ში ასევე ფართოდ არის გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია ბოლონის პროცესის, დუბლინის დისკრიფტორის, სამხედრო ვალდებულებების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებების, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები.

როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, რომ პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არის გამოყენებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები შესაბამისი კურსის სილაბუსის მოდიფიცირებისა თუ პროგრამის კურიკულუმში

შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით. გამოკითხვის შედეგები ასევე ეცნობება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის.

უსდ-ში დანერგილი პრაქტიკის თანახმად, პერსონალი თანამშრომლობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების განხორციელების პროცესში.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/ დამსაქმებელთა/ კურსდამთავრებულთა/პერსონალისა და შრომის ბაზრის კვლევების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, წარედგინება რექტორს პროგრამის, სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამაზე თანდართული დოკუმენტები და ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები გამოკვეთს პროგრამაში გარე შეფასების კომპონენტების გათვალისწინების შემდეგ კომპონენტებს: პროგრამის კურიკულუმის შემუშავებისას უსდ-მ გაითვალისწინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან (კვალიფიკაციების განვითარების სამსახურისა და ბიზნესისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს) მიღებული რეკომენდაციები, რომ პროგრამა წარმოადგენს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირების დეტალურ სწავლის სფეროს საჯარო მმართველობას სამაგისტრო დონეზე.

გარდა ამისა სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება აშშ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და რესურსების სტრატეგიის ეიზენჰაუერის სახელობის სკოლის (Eisenhower School for National Security and Resources Strategy [ES], National Defence University), აშშ-ს თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტის გაერთიანებული და სტრატეგიული ლოგისტიკის ცენტრისა (Centre for Joint and Strategic Logistics [CJSL]) და ნატო-ს თავდაცვის განათლების გაძლიერების პროგრამის (Defence Education Enhancement Programme [DEEP]) მიერ, რაც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს პროგრამის გარე შეფასების უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

რადგანაც პროგრამა აკრედიტაციის რეჟიმშია, მასში ასევე გათვალისწინებული იქნება აკრედიტაციის პროცესის დასრულების შედეგად გაცემული რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- ბიზნესისა და ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის ოქმი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების მიზნებისათვის აწარმოებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, იუნკერების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) პროგრამის, შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნებისათვის. მონიტორინგები ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო სამსახურის მიერ. პროგრამების გაუმჯობესების მიზნით აკადემიის რექტორი, რექტორის მოადგილეები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან

იუნკერებს. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტევიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან /პრაქტიკოსებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნება ასევე განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების უზრუნველყოფით, რა მიზნითაც პერიოდულად ჩატარდება კვლევები, რომელთა შედეგები აისახება პროგრამაში მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები ○ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები ○ ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა ○ ლექციაზე დაკვირვების ფორმა/ანგარიშები ○ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სახელმწიფო რესურსების მართვა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ფარსადანიშვილი 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო დოლიძე 

თამთა ცხოვრებაძე 

ნიკა გიგაური

